ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 53

„3“ აპრილი 2020 წ

ქ. თბილისი

**„ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 მარტის №20.370.475 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული №01200763518-67 (№01200581681-67, №01192472274-67, №01193363715-67, №01200283928-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

თარიღი: 2019 ფორმატი: A3




მნიშვნელოვანი ობიექტები და
მათი დაშორება საპროექტო ტერიტორიიდან:

1. ლისის ტბა (770 მ)
2. ონკოლოგიური საავადმყოფო (880 მ)
3. იპოდრომი (1800 მ)
4. "ელიავას" ბაზრობა (2100 მ)
5. დინამოს სტადიონი (3400 მ)

- საპროექტო ტერიტორია (21 ჰა)
- ძირითადი სატრანსპორტო სქემა

- საპროექტო არეალი

პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის
განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის
პროექტი


შპს "კობა სურმავა"
საიდენტიფიკაციო კოდი 62001011724
ქ. თბილისი, ხიდაშელის ქ. №2 0180
+995 599 916789
032 2 692414
email:kobasurmava@gmail.com


| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | კ. სურმავა | [signature] | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:10000 | სიტუაციური გეგმა (C.V.C.2) | |
| თარიღი | | | |
| ს ტ ა დ ი ა | | ფურცლები | ფურცელი |
| გრგ | | 99 | გრგ-03 |




- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი

პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი

შპს "კობა სურმავა"
+995 599 916789
032 2 693414
email: kobasurmava@gmail.com

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | კ. სურმავა | [signature] | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:2500 | საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა (C.V.C.4) | |
| თარიღი | | | |
| სტადია | | ფურცლები | ფურცელი |
| გ.რ.გ | | 99 | გრგ-05 |

№1




№2




№3




№4




N

0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18

პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი

ფპ "კობა სურმავა"
საიდენტიფიკაციო კოდი 62001011724
ქ. თბილისი, ხიდახენის ქ. №2 0180
+995 599 916789
032 2 693414
email:kobasurmava@gmail.com

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | ქ. სურმავა | [signature] | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | | ფოტოსურათები (C.V.C.5.1) | |
| თარიღი | | | |

| სტადია | ფურცლები | ფურცელი |
|---|---|---|
| გ.რ.გ. | 99 | გრგ-06 |




- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი

-სექტორის საზღვარი

პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი

შპს "კობა სურმავა"
საიდენტიფიკაციო კოდი 402001011724
ქ. თბილისი, [illegible] ქ. №2 0160
+995 599 916789
032 2 693414
email.kobasurmava@gmail.com

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | კ. სურმავა | [signature] | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:2500 | მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა (C.Z.L.FZ.1) | |
| თარიღი | | | |
| ს ტ ა დ ი ა | | ფურცლები | ფურცელი |
| გ.რ.გ | | 99 | გრგ-18 |




## ქალაქთმშენებლობითი ზონების ტერიტორიების გამოყენების დაშვებული სახეობების ჩამონათვალი

**3. საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3):**
დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები.

**ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები:**

· ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
· განაშენიანების დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
· (არადომინირებული სახეობა);
· ბაღი;
· სკვერი;
· საოჯახო საბაღე და საბოსტნე მეურნეობა (არასამეწარმეო);
· საბავშვო მოედნები;
· საოჯახო ორანჟერეა და სათბური (არასამეწარმეო);
· ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
· ინდივიდუალური სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის სახელოსნო
· საცხოვრებელ სახლებში, სამეზობლო თმენისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების
· დაცვით;
· საბავშვო ბაღი და სკოლამდელი აღზრდის სხვა დაწესებულება;
· დაწყებითი სკოლა;
· საშუალო სკოლა;
· ღია საცურაო აუზი;
· სპორტული მოედანი;
· ამბულატორია;
· აფთიაქი;
· კლუბი (მრავალფუნქციური დარბაზით შეხვედრებისათვის, გამოფენებისათვის);
· პირველადი მომხმარების საქონლის მაღაზია;
· საფოსტო და კავშირგაბმულობის განყოფილება;
· ღია ავტოსადგომი, ცალკე მდგომი ჩაშენებული გარაჟი.
·
**· ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას:**
·
· პარკი;
· ბულვარი;
· პოლიკლინიკა;
· ბარი;
· კაფე;
· საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
· ჯიხურები, დროებითი პავილიონი, საცალო ვაჭრობისა და მომსახურეობისათვის;
· ბანკის ფილიალი, განყოფილება;
· სასურსათო და საყოფაცხოვრებო საქონლის სავაჭრო ცენტრი;
· ოფისი და კანტორა.
· პოლიციისა და არასაუწყებო დაცვის განყოფილება;
· კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტი;
· საერთო სარგებლობის ღია ავტოსადგომი;
· საკულტო შენობები და ნაგებობები.

### განაშენიანების რეგულირების პარამეტრები

**საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3):**
ა) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები;
ბ) კოეფიციენტები:
ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - **0,5** ;
ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) - **1,5**;
ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) - **0,2**;

- საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)
- სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
- სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
- ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლ
- სპეციალური ზონა 1 (სპეცზ 1)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტრ 1)

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- სექტორის საზღვარი

პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი

+995 599 916789
022 2 593414
email.kobasurmava@gmail.com

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | კ. სურმავა | | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:2500 | ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების გეგმა (M.Z.L.FZ.2) | |
| თარიღი | | | |
| სტადია | | ფურცლები | ფურცელი |
| გ.რ.გ. | | 99 | გრგ-19 |

2019 ფორმატი: A3




- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი

-სექტორის საზღვარი

პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი

შპს "კობა სურმავა"
საიდენტიფიკაციო კოდი 62001011724
ქ. თბილისი, ზღვაჩენის ქ. №2 0180
+995 599 916789
032 2 593414
email: kobasurmava@gmail.com

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | კ. სურმავა | | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:2500 | ზონის ნაკვეთების კ1, კ2, კ3 დადგენის გეგმა (C,Z,L,FZ,3) | |
| თარიღი | | | |
| ს ტ ა დ ი ა | | ფურცლები | ფურცელი |
| გ.რ.გ. | | 99 | გრგ-20 |

## შეთანხმებული გრგ
## (ფრაგმენტი)



## კორექტირებული გრგ
## (ფრაგმენტი)



- მიწის ნაკვეთები რომლებიც არ წარმოადგენენ განაშენიანების რეგულირების გეგმის ნაწილს
- მიწის ნაკვეთის პირობითი ნომერი და ფართობი (U1 / 966)
- შენობების განთავსების არეალი

| | |
|---|---|
| 1 | 2 |
| 3 | 4 |
| 5 | 6 |
| 7 | 8 |

1. ბლოკი
2. ნაკვეთის პირობითი ნომერი
3. ზონის სახეობა
4. სართულიანობა
5. მაქსიმალური კ1 კოეფიციენტი
6. მაქსიმალური კ2 კოეფიციენტი
7. მინიმალური კ3 კოეფიციენტი
8. სახურავის ტიპი (ქანობიანი / ბრტყელი

- სასცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)
- სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
- სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
- ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლ
- სპეციალური ზონა 1 (სპეცზ 1)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტრ 1)
- განაშენიანების რეგულირების ხაზი (წითელი ხაზი)
- განაშენიანების სავალდებულო ხაზი (ლურჯი ხაზი)
- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
-სექტორის საზღვარი

პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი

შპს "კობა სურმავა"
საიდენტიფიკაციო კოდი 62001011724
ქ. თბილისი, ხეჟაჩენის ქ. №2 0180
+995 599 916789
032 2 693414
email.kobasurmava@gmail.com

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | კ. სურმავა | [signature] | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:2500 | მიწის ნაკვეთების ლეგალური რეგლამენტების დოკუმენტი (C.Z.L.FZ.8) | |
| თარიღი | | | |
| ს ტ ა დ ი ა | | ფურცლები | ფურცელი |
| გ რ გ | | 99 | გრგ-25-0 |

## ჭრილი 1-1




## ჭრილი 2-2




## ჭრილი 3-3




## ჭრილი 4-4




## ღობის მოწყობის სქემა მ 1:100




პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი

ფ/პ "კობა სურმავა"
საიდენტიფიკაციო კოდი 62001011724
ქ. თბილისი ხუდადოვის ქ №2 0190
+995 599 916789
032 2 693414
email:kobasurmava@gmail.com

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| არ. ავტორი | კ. სურმავა | | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:1000 | ზონობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა (C.Z.L.FZ.4) | |
| თარიღი | | | |
| სტადია | | ფურცლები | ფურცელი |
| გ.რ.გ. | | 99 | გრგ-21 |




## ღობის მოწყობის სქემა მ 1:100







პროექტის სახელწოდება

**ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი**

შპს "კობა სურმავა"
+995 599 916789
032 2 693414

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | კ. სურმავა | | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:1000 | შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა (C.Z.L.FZ.4) | |
| თარიღი | | | |
| სტადია | | ფურცლები | ფურცელი |
| გ.რ.გ. | | 99 | გრგ-21 |




მიწის ნაკვეთები რომლებიც არ წარმოადგენენ განაშენიანების რეგულირების გეგმის ნაწილს

მიწის ნაკვეთის პირობითი ნომერი და ფართობი

შენობების განთავსების არეალი

- სასხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)
- სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
- სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
- ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლ
- სპეციალური ზონა 1 (სპეცზ 1)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტრ 1)

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი

-სექტორის საზღვარი

პროექტის სახელწოდება

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტი

შპს "კობა სურმავა"

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
|---|---|---|---|
| ხელმძღვანელი | | | |
| პრ. ავტორი | კ. სურმავა | [signature] | |
| თანაავტორი | | | |
| მასშტაბი | 1:2500 | შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა (C.Z.L.FZ.4) | |
| თარიღი | | | |
| სტადია | | ფურცლები | ფურცელი |
| გრგ | | 99 | გრგ-21 |

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

**განკარგულება - N 20.370.475**
**26 / მარტი / 2020 წ.**

**,,ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 4 სექტემბერს N01192472274-67 (NN01193363715-67; 01200283928-67; 01200581681-67; 01200763518-67) განცხადებით მიმართა თემური ტუღუშმა (პ/ნ 42001004326) და მოითხოვა ,,ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ. ტერიტორიის სავარაუდო ფართობი: 202 150 კვ.მ.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე (კორექტირების ნაწილში) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

,,ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება'' გაცემულია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 8 აპრილის N440 აქტის შესაბამისად.

,,ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: კ-1=0.5, კ-2=1.5, კ-3=0.2 (კორექტირებულ არეალში).

შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება მოიცავს ნაკვეთების ND15, D16, D17 გაერთიანებას და მათ ნაცვლად ერთი ნაკვეთის მიღებას (ნაკვეთი ND15). Nგაერთიანებით არ იცვლება ნაკვეთის ჯამური ფართობი და კონტურული საზღვრები. გაერთიანება განპირობებულია მასში შენობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) განთავსების მიზნით.

ამასთან ერთად, გათვალისწინებულია შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის NF11 ნაკვეთის 9 ნაკვეთად დაყოფა (ნაკვეთი NF11, F12, F13, F14, F15, F16, F17, F18, F19). მიღებული ნაკვეთების ჯამური ფართი შეესაბამება პირვანდელი (დასაყოფი NF11) ნაკვეთის ფართს. ნაკვეთებზე განთავსდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები;

ასევე, გათვალისწინებულია NE5, NE6 ნაკვეთების გაერთიანება და მათ ნაცვლად ერთი NE5 ნაკვეთის ჩამოყალიბება, NE12, E13 ნაკვეთების გაერთიანება და მათ ნაცვლად ერთი NE12 ნაკვეთის ჩამოყალიბება. გაერთიანება განპირობებულია მასში შენობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) განთავსების მიზნით.

საქართველო, თბილისი, 0160, ქ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები წარმოდგენილი კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით: კ-1-0.5, კ-2-1.5, კ-3-0.2 (უშუალოდ კორექტირებულ არეალში); სართულიანობა: 2/3;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და $5^1$ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო; ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას, განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება თბილისის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საპროექტო გადაწყვეტა არ ითვალისწინებს არსებითად განსხვავებული ქალაქთმშენებლობითი მახასიათებლების ცვლილებას, გარემოსა და სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სუბიექტების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ვინაიდან, აღნიშნული კორექტირება არ არღვევს განაშენიანების რეგულირების გეგმის ძირითად სტრუქტურას და არ იწვევს მისი სხვა მაჩვენებლების, მათ შორის არც ფუნქციური ზონის, ცვლილებას, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე N01192472274-67 (NN01193363715-67; 01200283928-67; 01200581681-67; 01200763518-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ,,ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების

ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202